განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო პროგრამა

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ნოემბერი, 2021

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი<br>განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი<br>კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ფსიქოლოგია - 0313 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით(ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>02.08.2012, N296 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ცისანა ხუნდაძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნათია ბადრიშვილი -<br>- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გვიანიშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეკლე ჩხეიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

სარჩევი


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ........ 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ........ 7
   - 1.1. პროგრამის მიზნები ........ 7
   - 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები ........ 8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........ 11
   - 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ........ 11
   - 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ........ 12
   - 2.3. სასწავლო კურსი ........ 13
   - 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება ........ 15
   - 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები ........ 16
   - 2.6. სტუდენტების შეფასება ........ 18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ........ 21
   - 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება ........ 21
   - 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა ........ 22
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........ 23
   - 4.1. ადამიანური რესურსი ........ 24
   - 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ........ 26
   - 4.3. მატერიალური რესურსი ........ 27
   - 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა ........ 29
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ........ 30
   - 5.1. შიდა ხარისხის შეფასება ........ 30
   - 5.2. გარე ხარისხის შეფასება ........ 33
   - 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ........ 34

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა ........ 37

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებით (სოციალური, განათლების ან კლინიკური ფსიქოლოგია), რომელსაც ექნება დარგობრივი ცოდნა და პრაქტიკული მუშაობის უნარები, დამოუკიდებლად შეძლებს კვლევის განხორციელებას და იქნება კონკურენტუნარიანი როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე სწავლის შემდგომ საფეხურზე. ამასთან, ფსიქოლოგიური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულობა პროგრამის გამორჩეულად გამოყენებით ბუნებას სძენს. კურსდამთავრებული ეცოდინება ფსიქოლოგიის თანამედროვე თეორიები და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეფასებისა და ინტერვენციისათვის. ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობისას დაიცავს პროფესიულ და კვლევის ეთიკის პრინციპებს, ეფექტურად დაამყარებს წერით და ზეპირ კომუნიკაციას და ექნება კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.

შესაბამისად სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტის ფარგლებში (4 სემესტრი) ფსიქოლოგიის (ერთ-ერთი მიმართულების) მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

120 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით (1) საერთო კურსები: სავალდებულო (24 ECTS) და არჩევითი კურსები (12 ECTS); (2) მიმართულებისთვის სპეციფიკური სავალდებულო კურსები (სტუდენტი სწავლას ერთ-ერთი მიმართულებით აგრძელებს): (ა) სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება (36 ECTS); (ბ) განათლების ფსიქოლოგია (36 ECTS); (გ) კლინიკური ფსიქოლოგია (30 ECTS); (3) მიმართულებისთვის სპეციფიკური არჩევითი კურსები: (ა) სოციალური ფსიქოლოგია (24 ECTS); (ბ) განათლების ფსიქოლოგია (24 ECTS); (გ) კლინიკური ფსიქოლოგია (30 ECTS); (4) სამაგისტრო ნაშრომის ბლოკი (24 ECTS).აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო პროგრამის" შეფასება 2021 წლის 29-29 სექტემბერს დისტანციურად კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა და ვირტუალურად დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფსიქოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობების) საბაკალავრო პროგრამა“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

1.2

- კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკა იყოს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი (მაგალითად ზრდასრულთა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების არჩევის შემთხვევაში სტუდენტებმა არ გაიარონ პრაქტიკა ბავშვთა და მოზარდთა მიმართულებით).

2.6

- სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.
- გამორიცხოს შეფასებისას 0-ზე მეტი ქულის მინიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტი შესაფასებელ ცოდნას და/ან უნარებს მინიმალურ მოთხოვნილ დონეზე ვერ ადასტურებს.
- გამორიცხოს შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულების განსაზღვრა, რადგან აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას.
- დაკორექტირდეს დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“ არსებული შეუსაბამო ჩანაწერები უარყოფითი შეფასებების განმარტების (FX ვერ ჩააბარა – „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება“ და F - ჩაიჭრა – „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი“) ნაწილში.

5.3

- უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ისეთი ფორმით ჩამოყალიბებული, რომელიც იძლევა საუკეთესო გამოცდილების გამოყენების ანალიზის შესაძლებლობას.

- **რჩევები**

2.6

- მიეთითოს, რა განაპირობებს შეფასების ერთსა და იმავე კრიტერიუმის შემთხვევაში განსხვავებული ქულის მიღებას.

4.1

- მეტად იყოს უნიფიცირებული და კოორდინირებული სამაგისტრო ნაშრომში შესრულებული კვლევის მონაცემების ანალიზის/ინტერპრეტაციის დონის/სიღრმის მოთხოვნა და შესაბამისი შეფასება.

- **საუკეთესო პრაქტიკა**

4.4.

- აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სამუშაო სივრცით, იმ სახით რაც ხელს უწყობს აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ეფექტიან წარმართვას.
- ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ინტეგრირებული სამეცნიერო ბაზების საერთო საძიებელი სისტემა, რომელიც ერთი მხრივ ამარტივებს ძიების პროცესს და მეორე მხრივ, უფრო ხელმისაწვდომს ხდის მრავალფეროვან წყაროებს.

5.1

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა

უფლებამოსილებების სწორი დელეგირების, აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით რაც დადებით გავლენას ახდენს თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა პროცესზე (შემუშავება, მოდიფიცირება, შეფასება და სხვ.).

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის (სოციალური, განათლების და კლინიკური ფსიქოლოგიის) მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს კვლევის დამოუკიდებლად წარმოების უნარ-ჩვევები და მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის გამომუშავებაზეა იგი მიმართული.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებს, რაც გულისხმობს ეთიკური და კულტურულ-ანალიტიკური აზროვნების უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, პროგრამის პრიორიტეტული მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან განათლების, კვლევითი და/ან ფსიქო-სოციალური და სამედიცინო მომსახურების სფეროში.

პროგრამის შემუშავებისას სკოლის მხრიდან ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის ანგარიში, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის კვლევა, მეორეში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დასაქმების კვლევა, მესამე კი -- დამსაქმებელთა კვლევა. საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნაა განათლების სფეროში როგორც ზოგადი განათლების, ასევე ადრეული და სკოლამდელი განათლების და აღზრდის საფეხურზე; ასევე, ბიზნეს სექტორზე და კერძო პრაქტიკაზე. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მოამზადოს ზემოთ აღნიშნულ სფეროებში სპეციალისტები, რაც ნიშნავს, რომ, პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გარდა ამისა, შრომის ბაზრის შესწავლის მიზნით სკოლის მიერ ჩატარდა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან (ფოკუს ჯგუფების გამოყენებით). კვლევის დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ დღევანდელ ბაზარზე კადრების დეფიციტია სკოლამდელი აღზრდის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს უკანასკნელი კი მიუთითებს, რომ განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ (სამაგისტრო კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანგარიში, რაზეც დამსაქმებლებმაც ისაუბრეს ვიზიტის მსვლელობისას).

პროგრამის შემუშავებისას სკოლის მხრიდან ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის ანგარიში, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის კვლევა, მეორეში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დასაქმების კვლევა, მესამე კი - დამსაქმებელთა კვლევა. საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნაა განათლების სფეროში როგორც ზოგადი განათლების, ასევე ადრეული და სკოლამდელი განათლების და აღზრდის საფეხურზე; ასევე, ბიზნეს სექტორზე და კერძო პრაქტიკაზე. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მოამზადოს ზემოთ აღნიშნულ სფეროებში სპეციალისტები, რაც ნიშნავს, რომ, პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გარდა ამისა, შრომის ბაზრის შესწავლის მიზნით სკოლის მიერ ჩატარდა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან (ფოკუს ჯგუფების გამოყენებით).

კვლევის დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ დღევანდელ ბაზარზე კადრების დეფიციტია სკოლამდელი აღზრდის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს უკანასკნელი კი მიუთითებს, რომ განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სოციალური, განათლების და კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევამ აჩვენა, რომ 21 მათგანი დასაქმებულია სპეციალობით

სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმის თანახმად სამომავლოდ იგეგმება უცხოენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის, საერთაშორისო პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობის ზრდა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, საერთაშორისო კოლაბორაციული კვლევების ხელშეწყობა.

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციით ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება ინტერვიუს მეშვეობით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი და თვითშეფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი - განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge;
- ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შრომის ბაზრის ანაგარიში;
- სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ფსიქოლოგიის ცალკეული პროგრამისთვის აღწერილია სწავლის შედეგები, რომლებიც გადანაწილებულია ხუთ ჯგუფად ესენია: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და კომუნიკაციის უნარი. ხოლო სამივე პროგრამისთვის აღწერილია ერთიანი სწავლის უნარი და ღირებულებები. პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და შეესაბამება სამაგისტრო დონეს.

უსდის მიერ პოტენციურ რვა დამსაქმებელთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოითქვა მზაობა, მხარდაჭერა გაუწიონ სტუდენტებს პრაქტიკის განხორციელების დროს და მოხალისეების ბაზების შექმნაში,

რათა მომავალში გაუმჯობესდეს, ამ პროგრამის ფარგლებში მომზადებული კადრი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდეს, რათა მომავალში, მათ კომპეტენტური კადრების დასაქმება შეძლონ. გათვალისწინებულ იქნა პოტენციურ დამსაქმებელთა რეკომენდაცია – პრაქტიკული კომპონენტები ჩაშენებულ იქნა სილაბუსებში. ასევე, დამატებულ იქნა რამდენიმე არჩევითი კურსი, კერძოდ სავალდებულო კურსები -- ფუნდამენტური და გამოყენებითი ფსიქოლოგია და ინტერვენციის დაგეგმვა და შემუშავება ორგანიზაციისთვის; არჩევითი კურსები -- მშობელ-ბავშვის ურთიერთობის თერაპია; ენა, კულტურა და კოგნიცია და კოგნიტური მეცნიერება..

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციის, ასევე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით რაც დადასტურდა კიდეც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების მსვლელობისას.

პროგრამას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ შეფასების მექანიზმი, რომელიც სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით განხორციელდება. სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს.

პროგრამით კმაყოფილების კვლევის დოკუმენტი ავლენს როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. ერთ-ერთი ბოლო შეფასებით რომელიც ფოკუს-ჯგუფის მეთოდით იქნა ჩატარებული, გამოკითხულ იქნა 12 სტუდენტი. მათგან უმეტესობა (11) ახლიდან აირჩევდა ილიას სამაგისტრო პროგრამას, უმეტესწილად კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს ხელმძღვანელების მხარდაჭერის თვალსაზრისით პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, მეტი პრაქტიკული კომპონენტი შეეტანათ პროგრამაში, რაც უკავშირდებოდა პრაქტიკის ხანგრძლივობას (პრაქტიკა ყოფილიყო ერთსემესტრიანი და არა -- ნახევარი სემესტრი) და მრავალფეროვნებას. ხანგრძლივობასთან დაკავშირებული სურვილი დაკმაყოფილებულ იქნა და წარმოდგენილ პროგრამში პროფესიული პრაქტიკა 6 კრედიტიანი კურსის სახით არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ უსდ სამომავლოდ გეგმავს სასწავლო სისტემაში პრაქტიკის დამატებას. სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი ნაკლებად არიან კმაყოფილნი პრაქტიკით გამოკვეთა შედარებით უარყოფითი შეფასებებიც. მაგალითად 10 სტუდენტი თვლის, რომ პროგრამაში თეორიისა და პრაქტიკის კომბინაციამ არ მისცა საჭირო ცოდნა. 7-მა სტუდენტმა მიუთითა, რომ სხვადასხვა კურსის თემები მეორდებოდა და ემთხვეოდა ერთმანეთს. ეს უკანასკნელი გამოვლინდა ინტერვიუირების დროსაც.

ზემოთ აღნიშნულმა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის მხრიდან მიღებული არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, რეკომენდაცია მოდიფიცირდა და ქვემოთ წარმოდგენილი სახე მიიღო. ამასთან, რამდენადაც სტუდენტებმა გამოთქვეს გარკვეული უკმაყოფილება პრაქტიკის შესაბამისობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის საბოლოო სახე ქვემოთ მოცემული ფორმით ჩამოყალიბდა.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა თანმიმდევრულად გამჭვირვალედ უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, მოიცავს ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებს და როგორია პროგრამის ათვისების მაჩვენებელი. შეფასებისას გამოიყენება პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობა თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, პერიოდული მონიტორინგის, შეფასება-ანალიზის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. შეფასების ინსტრუმენტებს მიეკუთვნება სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლისა და პროგრამიდან განთესვის რაოდენობრივი მონაცემების, პროგრამასთან მიმართებაში დამსაქ-მებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებების და საჭიროებების შეფასება-ანალიზი და სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით პროგრამის შეფასებისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა პროგრამის ათვისების დინამიკაზე დაკვირვება, მათ

| |
|---|
| შორის პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულებისა და რეალურად მიღწეული მაჩვენებლების შედარება-ანალიზი, რაც წარმოადგენს პროგრამის თვითშეფასების ერთერთ ასპექტს. აღნიშნული დასტურდება შემდეგით აკრედიტაციის მიზნით წარდგენილ პროგრამას ერთვის პროგრამის შედეგების რუკა (ასახავს პროგრამის კომპონენტების მონაწილეობას პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის ფორმირებაში) და პროგრამის სამიზნე ნიშნულების ცხრილი (მოიცავს ინფორმაციას სწავლის თითოეული შედეგის მიღწევისთვის დადგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლების, პროგრამის შედეგებში მონაწილე კომპონენტების, შეფასების მეთოდებისა და შედეგის მიღწევის შემოწმების პერიოდულობის შესახებ), რაც ქმნის პროგრამის შედეგებისა და კომპონენტების ურთიერთკავშირის მკაფიო სურათს, ადასტურებს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ექვემდებარება გაზომვას, იძლევა თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტური გზების დასახვის შესაძლებლობას და, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს პროგრამის შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და შედეგების მიღწევის დადასტურების ობიექტურ საფუძველს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;<br>• კურიკულუმი<br>• სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები;<br>• ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შრომის ბაზრის ანგარიში;<br>• პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები<br>• პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:<br>○ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკა იყოს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი (მაგალითად ზრდასრულთა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების არჩევის შემთხვევაში სტუდენტებმა არ გაიარონ პრაქტიკა ბავშვთა და მოზარდთა მიმართულებით). |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯაროდ ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამაზე ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგების საფუძველზე ხდება. უფრო კონკრეტულად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: (ა) კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებაზე ჩაბარების მსურველ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ხოლო განათლების და სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებაზე ჩაბარების მსურველს – ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; (ბ) კონკურსანტმა საერთო სამაგისტრო გამოცდის შემდეგ უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რომლის ფარგლებში შემოწმდება აპლიკანტის მიერ არჩეული სფეროს (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) ცოდნა, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, მოტივაცია და წერითი კომუნიკაციის უნარი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მიმართულებებისთვის სპეციფიკური წინაპირობების საკითხი: ის ფაქტი, რომ პროგრამა კლინიკურ ფსიქოლოგიაზე სწავლის მსურველთაგან სპეციფიკურად ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხს ითხოვს, სრულიად გამართლებული და აუცილებელია დარგის სპეციფიკის (კლინიკური საგნების ცოდნის საჭიროებისა და შემდგომში კლიენტებთან ურთიერთობის/მუშაობის პერსპექტივის გამო) გათვალისწინებით აღნიშნული არ არის აუცილებელი მოთხოვნა განათლებისა და სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით სწავლის მსურველთათვის, რაც, ასევე, მართებული პრაქტიკაა.

პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული ყველა სხვა საჭირო ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე.

პროგრამაზე მიღების პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, მათ შორის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის, შექმნილია საინფორმაციო ბუკლეტები მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, ღია კარის დღეებში დაინტერესებული აუდიტორიისთვის წარადგენენ ხოლმე პროგრამის შინაარსს და დეტალებს, პასუხობენ კითხვებს.

პროგრამის წინაპირობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ილიას უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით სრულად შეესაბამება უსდ-ის მისია და ასევე, უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია სწავლების სამაგისტრო საფეხურთან. ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას.

ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. შესაბამისად სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს ანუ 4 სემესტრს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა სამ მიმართულებას ერთიანებს. ესენია: სოციალური, განათლების და კლინიკური ფსიქოლოგია. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა ბავშვთა და ზრდასრულთა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებად სადაც სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტირების და კონსულტირების მეთოდებს. განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებაში სტუდენტები ეუფლებიან სკოლამდელი და სასკოლო განათლების პროცესების სპეციფიკას და მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე მათ მორგებას. სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტები სწავლობენ ორგანიზაციებისა და ჯგუფების პროცესებს და ინტერვენციების გზებს. პროგრამა ითვალისწინებს ერთ-ერთი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

120 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით

- საერთო კურსები: სავალდებულო (24 ECTS) და არჩევითი კურსები (12 ECTS);
- მიმართულებისთვის სპეციფიკური სავალდებულო კურსები (სტუდენტი სწავლას ერთ-ერთი მიმართულებით აგრძელებს): (ა) სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება (36 ECTS); (ბ) განათლების ფსიქოლოგია (36 ECTS); (გ) კლინიკური ფსიქოლოგია (30 ECTS);
- მიმართულებისთვის სპეციფიკური არჩევითი კურსები: (ა) სოციალური ფსიქოლოგია (24 ECTS); (ბ) განათლების ფსიქოლოგია (24 ECTS); (გ) კლინიკური ფსიქოლოგია (30 ECTS);
- სამაგისტრო ნაშრომის ბლოკი (24 ECTS).

პროგრამის შედეგები შეესაბამება მასში აღწერილ მიზნებს. კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებშიც ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები. პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამაში შემავალი სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია. გარე შემფასებელმა დადებითად შეაფასა ბალანსი შინაარსობრივ და მეთოდურ, არჩევით და სავალდებულო, საერთო და მიმართულებისათვის სპეციფიკურ

კურსებს შორის, ასევე, პრაქტიკის წილი. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურაში თითოეული მიმართულებისთვის გათვალისწინებულია პრაქტიკის რელევანტური სავალდებულო კურსი. პრაქტიკის კომპონენტი იძლევა საშუალებას სტუდენტებმა წინასწარ შეთავაზებული ორგანიზაციებიდან აირჩიონ სასურველი და დამასრულებელი სემესტრის განმავლობაში დახლოებით 100 საათი გაატარონ ორგანიზაციაში, სუპერვიზიის პირობებში.

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით შეესაბამება და აკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უნის შიდა მართვის ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის, სემინარისა და პრაქტიკის კონცეფციები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- პერსონალის შეხვედრების ოქმები;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები;
- პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- საერთაშორისო ანალოგები და მახასიათებლები https://www.apa.org/about/policy/masters-goals-guidelines.pdf და https://students.uu.nl/en/fss/clinical-psychology/academics/study-programme/learning-objectives
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი" https://argus.ge/ge/;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი; https://iliauni.edu.ge/ge/
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სამივე მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით

კურსების ეფექტიანობის შეფასების მიზნით ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორიცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- კურსების შეფასების კითხვარი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევითპროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარებს ავითარებს და სპეციალიზაციის შესაბამის პრაქტიკულსამუშაოში ჩართვის შესაძლებლობითუზრუნველყოფს.

პროგრამაში წარმოდგენილი სამივე მოდულისთვის სავალდებულო კურსების ფარგლებში სტუდენტებს აქტიური შეხება აქვთ ემპირიული კვლევის განხორციელების და მონაცემების ანალიზის კომპონენტთან. პროგრამაში წარმოდგენილია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსები და ფუნდამენტური და გამოყენებითი ფსიქოლოგიის კურსი, რომელიც ასევე დატვირთულია პრაქტიკული კომპონენტებით გარდა ამისა, სპეციალობის შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი კურსების ნაწილის ფარგლებში, სტუდენტები განიხილავენ სხვადასხვა სამეცნიეროკვლევების მაგალითებს.

აღნიშნული კურსები სტუდენტებისგან მოითხოვენ კვლევითი კომპონენტების განხორციელებას და მიღებული შედეგების წერილობითი და ზეპირი სახით წარმოდგენას. აღსანიშნავია, რომ სამივე მოდულზე მყოფი სტუდენტებისათვის სავალდებულოა კურსი დასკვნითი სტატისტიკა ფსიქოლოგებისთვის, რაც დამატებითაუმჯობესებს კვლევითიდა მონაცემთა ანალიზის დამოუკიდებლადგანხორციელების უნარებს.

გარდა ამისა, უშუალოდსამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, სტუდენტები მუშაობენ სამაგისტრო სემინარზე, რომლის ფარგლებშიც დეტალურად განიხილავენ დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, იღებენ უკუკავშირს როგორც კვლევის მეთოდოლოგიის, ასევე ეთიკის საკითხებთან დაკავშირებითდა უკეთმომზადებულები იწყებენ უშუალოდსამაგისტრო ნაშრომისთვის კვლევას. თავადსამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს უვითარებს კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაზე დამოუკიდებლადმუშაობის უნარებს და უზრუნველყოფს მუდმივი უკუკავშირით განხორციელებულაქტივობებთან დაკავშირებით ამასთანავე, სამაგისტრო ნაშრომი გულისხმობს ეთიკის კომისიისგან კვლევის ჩატარების ნებართვის მოპოვებას, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის კვლევის პროცესისადმი შესაბამისი მიდგომების ჩამოსაყალიბებლად და საერთაშორისო კონტექსტში კონკურენტუნარიანი კვლევითი პრაქტიკის განსამტკიცებლად

სამაგისტროპროგრამის სამივე მოდულის ფარგლებში სტუდენტებს აქვთშესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობაში და ჩაერთონ კვლევით პროექტებში, რომელთაც კვლევითი ცენტრები და მათი ლექტორები ახორციელებენ (2015-2021 წლებში დ უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კვლევით პროექტებში ჩართული იყო ჯამში 89 სტუდენტი (როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო საფეხურის), ხოლო ბავშვის განვითარების ინსტიტუტის კვლევით პროექტებში - 2). აღნიშნული შესაძლებლობა საშუალებას აძლევს სტუდენტებს კვლევის პროცესის შესახებ სრულყოფილი ცოდნა მიიღონ და საჭირო უნარები უკეთგანავითარონ.

პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღებას სპეციალიზაციის გათვალისწინებით კერძოდ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმი ჯო ენის კლინიკასთან, მანდატურის სამსახურთან, აუტიზმის ასოციაციასთან, მოზარდთა და ბავშვთა პათოლოგ ანატომიურ ცენტრთან, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან, მწვანე სახლთან, ფსიქო სოციალური დახმარების ცენტრ „ნდობასთან“, სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრ რაიდემედთან და სხვადასხვა სკოლასთან საქართველოს მასშტაბით გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა სტუდენტებს აძლევს საშუალებას სურვილის შემთხვევაში პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ შესაბამისი პროფილითმომუშავე ორგანიზაციაში. მემორანდუმების დიდი ნაწილი დეტალურად აღწერს თანამშრომლობის პირობებს. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტს ზედამხედველობას უწევს სპეციალისტი. პრაქტიკული სამუშაოები უზრუნველყოფილია უკუკავშირის მექანიზმებით მიღებულგამოცდილებას აფასებს, როგორც სტუდენტი, ასევე დაწესებულება და მიღებული შედეგები საბოლოო ჯამში ანგარიშში აისახება. სტუდენტის და დაწესებულების მიერშევსებული უკუკავშირის ფორმები დეტალურადაღწერს პრაქტიკული სამუშაოს კომპონენტებს და ახასიათებს, როგორც სტუდენტის მიერ გაწეულ სამუშაოს ასევე დაწესებულების მიერ შექმნილ პირობებსა და განხორციელებულაქტივობებს. აღნიშნული საშუალებას იძლევა, შეფასდეს, თურამდენად იყო პრაქტიკული სამუშაო შესაფერისი აქტივობებითდატვირთული და რამდენადკარგადასრულებდნენ მხარეები მოვალეობებს.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| --- |
| • საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსებში, თვისებრივი კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და ფუნდამენტური და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სილაბუსებში გაწერილი აქტივობები და დავალებები, რომლებიც კვლევითი და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.<br>• სამაგისტრო სემინარის და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელიც სტუდენტს ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარების განვითარებაში ეხმარება;<br>• კვლევის ეთიკის კომისიისათვის წარსადგენი განაცხადის ნიმუში და ეთიკის კომისიის დასკვნის ნიმუში;<br>• უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;<br>• ინფორმაცია სხვადასხვა კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების შესახებ (2015-2021 წლებში დ უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კვლევით პროექტებში ჩართული იყო ჯამში 89 სტუდენტი, ხოლო ბავშვის განვითარების ინსტიტუტის კვლევით პროექტებში - 2);<br>• მემორანდუმი ჯოენის კლინიკასთან, მანდატურის სამსახურთან, აუტიზმის ასოციაციასთან, მოზრდილთა და ბავშვთა პათოლოგ ანატომიურ ცენტრთან, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან, მწვანე სახლთან, ფსიქოსოციალური დახმარების ცენტრ „ნდობასთან“, სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრი იმედთან და სხვადასხვა სკოლებთან საქართველოს მასშტაბით პრაქტიკული სამუშაოს გავლასთან დაკავშირებით<br>• განვლილი პრაქტიკის შეფასების ფორმები და როგორც სტუდენტის, ასევე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.<br>• კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;<br>• სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. სწავლების მეთოდები რელევანტურია და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები: დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; ელექტრონული სწავლების ელემენტები; პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება; სუპერვიზია; გონებრივი იერიში; მასალის ანალიზი და სინთეზი; ინტროსპექცია და თვითრეფლექსია; კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება; Result ფორმატი; სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები და თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება. აღსანიშნავია, რომ ისეთი კურსები, რომლებიც მეტად არიან პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე (მაგალითად ფსიქოანალიზური

კონსულტირება, ქცევითი თერაპიის დამატებითი მეთოდები, ქცევის გამოყენებითი ანალიზი) მეტად პრაქტიკულ მეთოდებს, მაგალითად სუპერვიზიას, სიტუაციის მოდელირებას იყენებს.

წარმოდგენილ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეულ კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული მეთოდები ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები.

სტუდენტებს იმის შესაძლებლობაც აქვთ რომ ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში მიიღონ რჩევა, როგორც მათთვის საჭირო საკითხების, ისე წერილობითი ნაშრომის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მოსწრების, ასევე, საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უსდ იძლევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საშუალებას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მოსწრებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლება-სწავლის, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ ინიშნება, შეხვედრების საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე „არგუსის" ან საუნივერსიტეტო ელფოსტის საშუალებით

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - ბავშვის განვითარების ინსტიტუტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი;
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი";
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge/
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი - https://cdi.iliauni.edu.ge/
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ფსიქო-ფიზიოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/centrebi-588/studenturi-fsiqo-fiziologiuri-kvleviti-centri;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი - https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/dimitri-uznadzis-fsiqologiis-instituti-880/dimitri-uznadzis-fsiqologiisinstituti.page;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტებისაგან, რაც გავლენას ახდენს შეფასების სისტემის თავისებურებებზე: 1) სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსები, პრაქტიკა) შეფასების სისტემა მოიცავს 2 ფორმას (შუალედურს და დასკვნითს); 2) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) და მოიცავს 3-კომპონენტს: ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შეფასებას, რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება; შემფასებლები ხელმძღვანელობენ წინასწარ დადგენილი შეფასების სისტემით, მათ შორის შეფასების კომპონენტებით, კრიტერიუმებითა და შეფასების ქულებით (დაცვაზე შეფასებას ახდენს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან). ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ზოგადად მითითებული პროგრამის კურიკულუმში, დაკონკრეტებულია პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსები, პრაქტიკა) სილაბუსებში და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს 5 დადებით შეფასება (ფრიადი (A) – შეფასების 91-100 ქულა; ძალიან კარგი (B) – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; კარგი (C) – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დამაკმაყოფილებელი (D) – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; საკმარისი (E) – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა) და 2 უარყოფით შეფასებას (ვერ ჩააბარა (FX) – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები).

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (შემდგომში - N3 ბრძანება), ხოლო სამაგისტრო ნაშრომის (პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის) შეფასების სისტემა საჭიროებს კორექტირებას უარყოფითი შეფასებების ნაწილში, კერძოდ 1) (FX) ვერ ჩააბარა – მითითებულია: „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება" (N3 ბრძანების თანახმად- ამ შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში); 2) (F) ჩაიჭრა – მითითებულია: „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი" (N3 ბრძანების თანახმად- ამ შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას).

როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში შეფასების ფორმებისათვის დადგენილია მაქსიმალური შესაძლო ქულა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მინიმალური დასაშვები ქულა): 1) სასწავლო კურსების შემთხვევაში ეს არის შუალედური შეფასებისთვის max70/min22 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის max 30/min11 ქულა; 2) პრაქტიკის შემთხვევაში ეს არის შუალედური შეფასებისთვის max75/min22 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის max25/min10 ქულა; 3) სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში ეს არის ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შეფასებისთვის - max30/min16 ქულა, რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასებისთვის - max 40/min21 ქულა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასებისთვის - max 30/ min16 ქულა. გაუგებრობას იწვევს სასწავლო კურსებში და პრაქტიკაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარისთვის დადგენილი ქულები, რადგან სტუდენტი, რომელიც მიაღწევს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს (რასაც დასტურებს შესაბამისი მინიმალური ქულის მიღებით) ამ ქულათა დაჯამების შედეგად ჩაითვლება ჩაჭრილად ანუ მის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი, რაც არალოგიკურია მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მიღწევის დადასტურების პირობებში.

შეფასების თითოეული მეთოდისთვის (კომპონენტისთვის) განსაზღვრულია მისი წილი შეფასების 100-ქულიან სისტემაში, შეფასების კრიტერიუმების შემთხვევაში კი არსებობს ქულათა გრადაცია, რომლის მეშვეობით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. ინფორმაცია გამოყენებული შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები, ქულათა გრადაცია და სხვ. ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. თუმცა, რიგ შემთხვევებში ყურადღებას იქცევს შემდეგი

გარემოებები:

1) რიგ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები და ქულები ურთიერთშეუსაბამოა მაგ.:

„0 - **3** ქულა - სტუდენტი ან საერთოდ არ აკეთებს პრეზენტაციას, ან ვერ გადმოსცემს მასალას, არ ჩანს პროექტის მიზანი; სლაიდები არასრულად და არადამაკმაყოფილებლად ასახავენ პრეზენტაციის თემას,...ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებზე, ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან." (სასწავლო კურსი „ფუნდამენტური და გამოყენე-ბითი ფსიქოლოგია").

„0 - **7** ქულა: სტუდენტმა ძალიან მწირად შეძლო ან პრაქტიკულად ვერ შეძლო კითხვათა სერიებზე მართებული პასუხების გაცემა ან სტუდენტმა არ შეასრულა დავალება" (სასწავლო კურსი „ფსიქიკური ჯანმრთელობა და აშლილობები 2").

0-**3** ქულა - სტუდენტს საერთოდ არ აქვს დავალება წარმოდგენილი ან არასწორად აქვს გაანალიზებული სტატიაში აღწერილი რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზის მეთოდები. ვერ მსჯელობს გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობაზე, ვერ აყალიბებს გამოყენებული მეთოდების დადებით და უარყოფით მხარეებს (სასწავლო კურსი „დასკვნითი სტატისტიკა ფსიქოლოგებისთვის"). ანალოგიური ჩანაწერებია რამდენიმე სხვა სასწავლო კურსის და პრაქტიკის სილაბუსებში.

0-**39** ქულა - ნაშრომი არ შეიცავს ყველა თავს და ქვეთავს, შეცდომით გადმოსცემს მასალას, ნაწილობრივ იყენებს სათანადო ტერმინოლოგიას, არაა გამოყენებული უახლესი და ადეკვატური წყაროები, მეთოდი კითხვის შეუსაბამოა, და/ან შეცდომებითაა აღწერილი, ან, საერთოდ არ ჩანს, როგორ აპირებს ის მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას, რომელ შერჩევას და ინსტრუმენტებს იყენებს... („სამაგისტრო სემინარის კონცეფცია").

2) რიგ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმთან მითითებულია ან მხოლოდ მაქსიმალური ქულები (მაგ., სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია) ან შეფასების ქულათა ისეთი დიაპაზონი, რომელიც გარკვეულწილად ამცირებს შეფასების გამჭვირვალობის ხარისხს (მაგ., „23-25 ქულა - შერჩეული კვლევის მეთოდი ... შეესაბამება საკვლევ საკითხს. კვლევის ეთიკის ნორმები არის დაცული"; „13–0 ქულა - ორგანიზაცია მინიმალურადაა დახასიათებული, მინიმალურადაა აღწერილი სტუდენტის მოვალეობები და საქმიანობა ორგანიზაციაში, ... სტუდენტი ვერ სცემს პასუხს კითხვებს"; „24-14 ქულა - ნაკლებადაა აღწერილი სტუდენტის მოვალეობები და საქმიანობა ორგანიზაციაში, სტუდენტი მასალას გასაგებად გადმოსცემს...." 16 – 20 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას; მსჯელობა ყოველთვის ლოგიკური, არგუმენტირებული და დასაბუთებულია").

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაციების საფუძველი, რომლებიც გადამუშავდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის მიღების შემდეგ, კერძოდ

**პირველი რეკომენდაცია** ფორმულირებული იყო შემდეგნაირად *„დაკორექტირდეს დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია" არსებული შეუსაბამო ჩანაწერები უარყოფითი შეფასებების განმარტების (FX ვერ ჩააბარა „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებითი გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება" და F - ჩაიჭრა „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი") ნაწილში."*

უსდ-ის არგუმენტირებული პასუხის თანახმად „პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია და დამატებით დააზუსტა აღნიშნული ჩანაწერი ამავე მუხლის მე-19 პუნქტში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე", რაც, ასევე დასტურდება არგუმენტირებული პასუხის თანდართული დოკუმენტით მიუხედავად ამისა, მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას, მხედველობაში იქნეს მიღებული ვიზიტის შემდგომ შექმნილი დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, *რეკომენდაცია რჩება უცვლელად*

**მეორე რეკომენდაცია** ფორმულირებული იყო შემდეგნაირად *„პროგრამის კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის შესაბამისი ქულები ისე დაწესდეს, რომ მათი ჯამი თუნდაც დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობას იძლეოდეს."* ამ რეკომენდაციაში არ არის მითითება იმაზე, რომ უნივერსიტეტში გამოყენებული შეფასების სისტემა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. საუბარია იმაზე, რომ თუ სტუდენტმა შუალედურ და დასკვნით შეფასებებში დაადასტურა მინიმალური მოთხოვნილი კომპეტენცია (ცოდნა და/ან უნარები), რაც გამოიხატება უნივერსიტეტის მიერ ამისთვის დაწესებული ქულებით მაშინ ამ ქულების დაჯამებით მისი შედეგი არ უნდა იყოს „ჩაიჭრა," „რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი". უნივერსიტეტის პოზიცია გაზიარებული არ არის. თუმცა მეტი სიცხადისთვის

რეკომენდაციის ტექსტი გადამუშავდა და ქვემოთ წარმოდგენილი სახე მიიღო (იხ. რეკომენდაცია N2 შესაბამის გრაფაში);

**მესამე რეკომენდაცია** ფორმულირებული იყო შემდეგნაირად *„ურთიერთშესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები და მათი ეკვივალენტი ქულები.“* ეს რეკომენდაცია არგულისხმობს იმას, რომ განსხვავებული სპეციფიკის სასწავლო კურსებს შეფასების ერთნაირი კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია უნდა ჰქონდეთ დასკვნაში შესაბამისი სასწავლო კურსების მითითებით ნაჩვენებია, რომ არარელევანტურია 0-ზე მეტი ქულის მინიჭება მაშინ, როდესაც სტუდენტი შედეგს (შესაფასებელ ცოდნას და/ან უნარებს) ვერ ადასტურებს (მაგალითად „საერთოდ არ აკეთებს პრეზენტაციას“, „ვერ გადმოსცემს მასალას“, „ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებზე“, „საერთოდ არ აქვს დავალება წარმოდგენილი“, „არასწორად აქვს გაანალიზებული“). შესაბამისად უნივერსიტეტის პოზიცია გაზიარებული არ არის. თუმცა მეტი სიცხადისთვის რეკომენდაციამ ქვემოთმოცემული სახე მიიღო (იხ. რეკომენდაცია N3 შესაბამის გრაფაში);

**მეოთხე რეკომენდაცია** ფორმულირებული იყო შემდეგნაირად *„მიეთითოს შეფასების არამაქსიმალური ქულების გრადაცია და შესაბამისი კრიტერიუმები.“* ვეთანხმებით უნივერსიტეტის განმარტებას, რომ „ზოგადად არსებობს შეფასებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ეფექტური მიდგომა, მათ შორის, ჰოლისტური ან ანალიტიკური რუბრიკების გამოყენების თვალსაზრისით“ და, ამასთანავე, აღვნიშნავთ რომ მე-2 სტანდარტის 2.6 კომპონენტის თანახმად სტუდენტის შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე, რაც შესაბამისი ინფორმაციის მითითების გარეშე უზრუნველყოფილი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის პოზიცია გაზიარებული არ არის, თუმცა მეტი სიცხადისთვის რეკომენდაციამ ქვემოთმოცემული სახე მიიღო (იხ. რეკომენდაცია N4 შესაბამის გრაფაში);

**მეხუთე რეკომენდაცია** ფორმულირებული იყო შემდეგნაირად *„მეტი სიცხადისთვის მიეთითოს, რა განაპირობებს ერთი და იმავე კრიტერიუმის შემთხვევაში განსხვავებული ქულის მიღებას.“* ამ რეკომენდაციასთან მიმართებით უნივერსიტეტის პოზიცია გაზიარებულია. შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი გადატანილია „რჩევებში“ (იხ. შესაბამისი გრაფა ქვემოთ).

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია მიღებული შეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება, მიღწეული შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობა და ამ პროცესების სისტემატური კონტროლი (აღნიშნული დეტალურადაა გაწერილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამის ნაწილში). ,

ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრე-დიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი;
- სისტემები: „არგუსი“ www.argus.iliauni.edu.ge, ასევე http://moodle.iliauni.edu.ge და http://turnitin.com
- სტუდენტების კვლევის ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- დაკორექტირდეს დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“ არსებული შეუსაბამო ჩანაწერები უარყოფითი შეფასებების განმარტების (FX ვერ ჩააბარა „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება“ და F - ჩაიჭრა

| |
|---|
| „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი“) ნაწილში.<br>• შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.<br>• გამორიცხოს შეფასებისას 0-ზე მეტი ქულის მინიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტი შესაფასებელ ცოდნას და/ან უნარებს მინიმალურ მოთხოვნილ დონეზე ვერ ადასტურებს.<br>• გამორიცხოს შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულების განსაზღვრა, რადგან აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>• მიეთითოს, რა განაპირობებს შეფასების ერთსა და იმავე კრიტერიუმის შემთხვევაში განსხვავებული ქულის მიღებას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|---|
| **3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერული განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**<br>თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სტუდენტურ სერვისებთან, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიღწევების გასაუმჯობესებასთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის შექმნილია პროგრამული სისტემა „არგუსი“, რომლის მეშვეობითაც მათ აქვთ წვდომა ყველანაირ ინფორმაციაზე, კერძოდ მასალებზე, შეფასებაზე, |

| |
|---|
| დაგროვებულ კრედიტებზე. ასევე, არგუსის მეშვეობით სტუდენტს აქვს აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის შესაძლებლობა.<br>თითოეულ სილაბუსში განსაზღვრულია დამატებით საკონსულტაციო დრო, რომელსაც სტუდენტი ათანხმებს აკადემიურ პერსონალთან და იღებს შესაბამის დახმარებას საჭიროების შემთხვევაში.<br>ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტებს ეგზავნებათ კითხვარი სასწავლო კურსებთან დაკავშირებით რომლის მეშვეობითაც ისინი აფასებენ კურსის თითოეულ კომპონენტს, მათ შორის ლექტორსაც. სტუდენტების თემით კითხვარის შედეგებს ითვალისწინებს როგორც აკადემიური პერსონალი, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც.<br>პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში და მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებში და გაცვლით პროგრამებში რომლის შესახებაც ინფორმაციას იღებენ როგორც ელექტრონული გზით(მეილი, არგუსი), ასევე აკადემიური პერსონალისგან.<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიის კლუბი, რომლის მეშვეობითაც, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ სხვადასხვა აქტივობები და პროექტები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით<br>უნივერსიტეტში დანერგილია კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშემწყობი პროექტები. სტუდენტებს აქტიურად ეგზავნებათ ინფორმაცია სხვადასხვა ვაკანსიების თაობაზე. ასევე, უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება დასაქმების ფორუმი, რაც სტუდენტების კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს.<br>პროგრამის შემადგენელი ნაწილია პრაქტიკის კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ეცნობიან დასაქმების სფეროებს და გადიან 6 კრედიტიან პრაქტიკის დამოუკიდებელ კურსს. პროგრამას შექმნილი აქვს პარტნიორი დაწესებულებების ბაზა, რომელიც განახლებადია საჭიროებების შესაბამისად |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ თვითშეფასების ანგარიში;<br>▪ სილაბუსები;<br>▪ უსდის ვებგვერდი http://iliauni.edu.ge/ge/;<br>▪ შრომითი ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან; აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან,<br>▪ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**<br>თითოეულ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამაში გათვალისწინებულია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის მსვლელობისას ჯგუფის მიერ გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომების გაცნობამ გამოავლინა შემდეგი ტენდენცია: ნაშრომის შესრულების ხარისხი, კვლევის მონაცემთა დამუშავებისა (მაგალითად უფრო რთული |

| |
|---|
| ან მარტივი სტატისტიკური აპარატის გამოყენება) და ინტერპრეტაციის დონე/სიღრმე და, ასევე, სტუდენტის მიერ მიღებული შესაბამისი შეფასება დამოკიდებული იყო ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობაზე (იხ. ასევე, ქვესტანდარტი 4.1).<br>სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში დეტალურად არის გაწერილი ხელმძღვანელის ან რეცენზენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პასუხისმგებლობები, უფლება-მოვალეობები, ხელმძღვანელობის პროცესის აღწერა, სტუდენტის ვალდებულებები, ნაშრომის შექმნის პროცესის და შეფასების აღწერა.<br>ხელმძღვანელი მაგისტრანტებს რეგულარულ კონსულტაციას უწევს. აწვდის ინფორმაციას კვლევის დიზაინთან, ბიბლიოგრაფიასთან, პროექტის მენეჯმენტსა და სამაგისტრო ნაშრომის წერასთან დაკავშირებით ასევე, ეტაპობრივად ამოწმებს ნაშრომს, აძლევს სტუდენტს უკუკავშირს/რჩევებს და ეხმარება მას სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში, როგორც ვრცლად ისაუბრეს სტუდენტებმა ინტერვიუს დროს |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;<br>• დაცული სამაგისტრო ნაშრომების გაცნობა;<br>• პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები;<br>• სილაბუსები;<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად სტაბილურ ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

## 4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო კვლევით/შემოქმედებით/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო პროგრამას აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამაში ჩართულნი არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამას ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს აქვს საერთაშორისო მუშაობის გამოცდილება, რაც პოზიტიურად აისახება სწავლის შედეგებზე.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 24 (11 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი. 6 ასისტენტ-პროფესორი და 2 მეცნიერი), ხოლო მოწვეული პერსონალის რაოდენობაა 11. სწავლებაში ჩართულია ერთი უცხოელი სპეციალისტი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის რაოდენობაა 29.

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის სქემა, რასაც ითვალისწინებენ სემესტრული კურსის შედგენის დროს.. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) აფილირების წესი. ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამი ჩართული აკადემიური პერსონალიდან 24 არის აფილირებული ილიას უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ემსახურება 11 ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა რიცხვი საკმარისია აღნიშნული პროგრამაზე მისაღები კონტინგენტისათვის.

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვის სქემა, რასაც ითვალისწინებენ სემესტრული კურსის შედგენის დროს. აკადემიური პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგია: დასწესებულებიდან წასული - 1, ახალი თანამშრომელი -4. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მართალია დაწესებულებიდან წასულ პირთა რაოდენობაა 9, ხოლო ახალი თანამშრომელია 4, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ აკადემიური პერსონალი ჭარბობს მოწვეულ თანამშრომლებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამაში აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და არის 37/65.

მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება ხელმძღვანელების დატვირთვას. 2020-2021 წლის მონაცემებით ხელმძღვანელების და მაგისტრანტების თანაფარდობაა 10/50, რაც გულისხმობს ერთ ხელმძღვანელზე არაუმეტეს 5 მაგისტრანტისა. როგორც ინტერვიუების მსვლელობისასა ითქვა (ხარისხის სამსახურისა და პროგრამის ხელმძვანელებთან), ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ არსებობს დადგენილი, წერილობითი ფორმით არსებული წესი, თუმცა არსებობს ზეპირი შეთანხმება (და მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით რელევანტურ დოკუმენტებში ცვლილების შეტანის მიმართულებით), რომ ერთი ხელმძღვანელი პარალელურად ხელმძღვანელობს არაუმეტეს ხუთი მაგისტრანტისა.

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის შემუშავებისათვის აქვთ შესაბამისი

კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ხელმძღვანელების პროგრამის განხორციელებაში და სტუდენტების კონსულტირებაში ჩართულობა დასტურდება ინტერვიუს მეშვეობით სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელები მუდმივად მზად არიან დაეხმარონ თითოეულ მათგანს, როგორც სწავლის, ასევე სტაჟირების თუ დასაქმების საკითხებში.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. პირადი საქმეები მათ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე მეტყველებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ (ასევე, იხ. ქვესტანდარტი 3.2), რომ ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომების გაცნობამ გამოავლინა ტენდენცია იმისა, რომ ნაშრომში მიღებული შედეგების დამუშავების (გამოყენებული სტატისტიკური აპარატის სირთულე) და ინტერპრეტაციის დონე/სიღრმე და, ასევე, სტუდენტი მიერ მიღებული, ნაშრომის შესაბამისი შეფასება ვარირებდა ნაშრომის ხელმძღვანელის მიხედვით აღნიშნულმა შექმნა ქვემოთმოცემული რჩევის საფუძველი.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში შედის ისეთსაქმიანობები, როგორიცაა, კურიკულუმის და მასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის შემუშავება, მონაწილეობის მიღება: პროგრამის აკრედიტაციისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, პოტენციურ დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან შეხვედრებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილი ცვლილებების მიზანშეწონილობის საკითხის და პროგრამაში ახალი სასწავლო კურსის დამატების საკითხის განხილვაში. აღნიშნული საქმიანობის გარდა, აკადემიური პერსონალის საქმიანობაა სტუდენტების მხარდაჭერა და კონსულტაცია.

აკადემიური და მოწველი პერსონალის პროგრამით კმაყოფილების კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ ლექტორები ჩართულნი არიან სტუდენტების კონსულტირებასა და პროგრამის განვითარების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- სერვისებითკმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოაღწერილობის დოკუმენტი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულპერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია:

- მეტად იყოს უნიფიცირებული და კოორდინირებული სამაგისტრო ნაშრომში შესრულებული კვლევის მონაცემების ანალიზის/ინტერპრეტაციის დონის/სიღრმის მოთხოვნა და შესაბამისი შეფასება.

**საუკეთესოპრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
| --- |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აფასებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ასევე ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასება სისტემატურ ხასიათს ატარებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება როგორც სწავლების, ასევე, კვლევითი და სოციალური იმპაქტის და ადმინისტრაციული საქმიანობის კომპონენტების გათვალისწინებით აკადემიური პერსონალი აღნიშნული კომპონენტების მიხედვით თვითშეფასებას ორ წელიწადში ერთხელ ახორციელებს. გარდა ამისა, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება სტუდენტების მიერ ყოველი სემესტრის ბოლოს განვლილი კურსის შეფასებებზე დაყრდნობით საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების ინსტრუმენტია ასევე ე.წ. კოლეგიალური შეფასება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია როგორც საჩვენებელი, ასევე სემესტრული ლექციის შეფასება და მიღებული შედეგების სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით გამოყენება. ონლაინ ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელმა მიუთითა, რომ აღნიშნული მექანიზმი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ახალი კურსების ან პერსონალის შემთხვევაში კურსის შინაარსის და სწავლების მეთოდების გაუმჯობესების მიზნით აღნიშნული დადასტურდა ლექტორებთან შეხვედრის დროსაც. ინტერვიუს დროს რამდენიმე ლექტორმა აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიუღია ან თავად ყოფილა შეფასებული. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ლექტორების კმაყოფილების და სერვისების შეფასების კვლევას, რომლის შედეგები, თვითშეფასების და კოლეგიალური შეფასების შედეგებთან ერთად გამოიყენება ტრენინგის და სერვისების გაუმჯობესების საჭიროების განსაზღვრის მიზნით

ამასთანავე, განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იღებს უკუკავშირს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით თვითშეფასების ფორმაში სხვადასხვა კომპონენტებში წინასწარგანსაზღვრული ნორმების გათვალისწინებით, გარკვეულ რაოდენობაზე (200) მეტი ქულის დაგროვების შემთხვევაში ხდება პერსონალის წახალისება სხვადასხვა შესაძლო, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ფორმით ხოლო არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ხდება შედეგების გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებების განხილვა და ვადების განსაზღვრა.

გარდა შეფასებისა, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის მუდმივ განვითარებაზე. ერთი მხრივ, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ხელს უწყობს პერსონალის ჩართვას სამეცნიერო კვლევებში. 2014-2021 წლებში დ უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კვლევით პროექტებში ჩართული იყო ჯამში 27 პროფესორი, ხოლო ბავშვის განვითარების ინსტიტუტის კვლევით პროექტებში - 2. აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა კვლევით პროექტებში ასახულია მათ ბიოგრაფიასა და პუბლიკაციების ისტორიაში. აკადემიურ პერსონალს შეუძლია არა მხოლოდ კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით განაცხადის გაკეთება, არამედ კონსულტაციის და დახმარების მიღება სხვადასხვა საგრანტო კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით 2021 წლის სერვისების შეფასების კვლევის შედეგების თანახმად იმ ლექტორების უმეტესი ნაწილი, ვისაც შეხება ჰქონდა, ფიქრობს რომ ეფექტური იყო განვითარების სამსახურის დახმარება პროექტისთვის კონსორციუმის წევრების მოძიებაში, პროექტზე მუშაობის და პროექტის ადმინისტრირების პროცესში. ასევე ეფექტურად არის შეფასებული სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურთან თანამშრომლობა იმ ლექტორების მიერ, ვისაც ასეთი გამოცდილება ჰქონია.

ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში და დააფინანსონ სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის და პროექტის განხორციელებაში დახმარების კარგი მაგალითი იყო, ექსპერტთა ვიზიტის დროს ერთ-ერთი მოწვეული ლექტორის მიერ გაზიარებული გამოცდილება, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტი კვლევისათვის საჭირო კონკრეტული ტესტის ლიცენზიის მოპოვებაში დაეხმარა.ამასთანავე, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს პერსონალის მუდმივ განვითარებას როგორც სწავლების, ასევე კვლევითი უნარების თვალსაზრისით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სერვისების შეფასების კვლევასა და ლექტორებთან

ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ განვითარების სამსახური ხშირად სთავაზობს ტრენინგებს და ლექტორები, რომლებიც ტრენინგებს ესწრებიან უმეტესწილად დადებითად აფასებენ, როგორც ტრენინგების სიხშირეს (ინტერვიუებზე დაყრდნობით), ასევე შინაარსს. გარდა აღწერილი განვითარების რესურსებისა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული გაცვლითი პროგრამები პერსონალს დამატებითი გამოცდილების მიღების და გაზიარების საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას (მაგალითად ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში აღნიშნული შესაძლებლობით 7-მა ლექტორმა და სტუდენტმა ისარგებლა).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის შეფასების და განვითარების ცენტრის დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ფორმების ნიმუშები;
- სერვისების შეფასების კითხვარი სტუდენტებისა და ლექტორებისთვის;
- სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ლექტორების კმაყოფილების და სერვისების შეფასების კვლევის შედეგები;
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) სამოქმედო გეგმა;
- სხვადასხვა ტრენინგებში პერსონალის მონაწილეობის და ტრენინგებით კმაყოფილების მონაცემები;
- სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები უნივერსიტეტის ბაზაზე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ფსიქო-ფიზიოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი;
- ინფორმაცია სხვადასხვა კვლევით პროექტში ჩართული პროფესორების შესახებ (2014-2021 წლებში დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კვლევით პროექტებში ჩართული იყო ჯამში 27 პროფესორი, ხოლო ბავშვის განვითარების ინსტიტუტის კვლევით პროექტებში - 2);
- დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფარგლებში 2020 წელს განხორციელებული კვლევითი პროექტების ანგარიში;
- ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში გაცვლით პროგრამაში მონაწილე ლექტორებისა და სტუდენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი;
- არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მოწვეული პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება;
- აკადემიური პერსონალის წარმოდგენილ CV-ებში მოცემული ინფორმაცია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების შესახებ;
- ინფორმაცია ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების სტატისტიკის შესახებ;
- ინფორმაცია პასკალის პრემიის შესახებ, რომლის მიზანია ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო საქმიანობის წახალისება.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა და ანალიზი**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა და, შესაბამისად მატერიალური რესურსებზე მსჯელობა, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უსდის წარმომადგენლებთან ინტერვიუების პარალელურად სასწავლო და საბიბლიოთეკო სივრცეების დათვალიერების, ვიდეო ჩართვისა და კატალოგის ეკრანზე გაზიარების/გამოცდის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

პროგრამა უზრუნველყოფილია, როგორც პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სივრცით ასევე მატერიალური რესურსებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს არაერთსამკითხველო დარბაზს და კომპიუტერების რესურს ცენტრს, რომელიც საჭირო მასალების მოძიების და გამოყენების საშუალებას იძლევა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა კურსების სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა ისეთი რაოდენობით რაც საჭირო მასალებითყველა სტუდენტის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. მასალების ნაწილი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ფიზიკური არამედ ელექტრონული ფორმით გარდა ამისა ელექტრონული ფორმითხელმისაწვდომია სხვადასხვა კურსების ფარგლებში საჭირო რიდერები, რომლებსაც ბიბლიოთეკა ამზადებს მოთხოვნის შესაბამისად ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები გამდიდრება ახალი მასალებით და საჭიროლიტერატურითმუდმივი პროცესია.

უნივერსიტეტის შენობიდან ან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით ნებისმიერი ადგილიდან სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სამეცნიერო ბაზები გამოყენება. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი აერთიანებს ყველა მნიშვნელოვან სამეცნიერო ბაზების ჯგუფს და გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე, სამეცნიერო ბაზების განყოფილებაში ჩაშენებულია ერთიანი საძიებოსისტემა, რომელიც მომხმარებელს გარკვეული სტატიის ან საკითხის ყველა ბაზაში ერთდროულად მოძიების შესაძლებლობას აძლევს.

ბიბლიოთეკის ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით კოვიდ პანდემიის პირობებშიც კი სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წინასწარ დარეგისტრირდნენ სასურველი დროისთვის და ადგილზე ისარგებლონ ხელმისაწვდომი მასალებით და სივრცით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია არაერთი სამუშაო სივრცე, რომლის დაჯავშნა წინასწარ არის შესაძლებელი, მათშორის, კომუნიკაციისთვის სოციალური ქსელების გამოყენების ჩათვლით სტუდენტებისთვის კომუნიკაციის და ინფორმაციის მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს ასევე არგუსის პლატფორმა.

გარდა აღწერილი რესურსებისა, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია სამუშაო სივრცე და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (დიმიტრი უზნაძის კოგნიტური და ექსპერიმენტული ლაბორატორია), რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი პრაქტიკული აქტივობებისათვის.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სივრცით ოთახით რაც მათმუშაობის და სტუდენტებთან ინდივიდუალური ფორმატითურთიერთობის დამატებითშესაძლებლობას აძლევს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიბლიოთეკაში არსებული მასალების კატალოგი (https://library.iliauni.edu.ge/);
- სამკითხველოდარბაზების რაოდენობა, მდებარეობა და სამუშაოსაათები (https://library.iliauni.edu.ge/);
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი ელექტრონული კატალოგი, ასევე ელექტრონული მასალები და რიდერები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი სამეცნიეროზაზები (https://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/);
- სამეცნიეროზაზების ლიცენზიის შეძენასთან დაკავშირებული ხელშეკრულება;
- პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კურსებში მითითებული სავალდებულოლიტერატურა ბიბლიოთეკის კატალოგში;
- ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების მუდმივი განახლება და შევსება წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად
- უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები - ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის სტუდენტური ფსიქო-ფიზიოლოგიური სამეცნიეროკვლევითი ცენტრი, ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი;
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მიერსერვისების შეფასების კვლევა და ანგარიში.
- „არგუსი“
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ### 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი მდგრადია და ფარავს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო თანხებს. გათვალისწინებულია ფინანსური რესურსები, რაც ეკონომიკურად მიღწევადია. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები აკადემიური და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებისთვის, პრაქტიკის ობიექტისათვის, ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკისათვის.<br>მართალია პროგრამას არჩება მოგების ხარჯი, თუმცა ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნეს, რომ პროგრამის მდგრადობა წარმოადგენს ფინანსური მდგრადობის წინაპირობას. ინტერვიუს დროს არაერთხელ აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ საკითხს კორონავირუსით შექმნილი სიტუაციის ფონზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• პროგრამის ბიუჯეტი;<br>• უნის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>• აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სამუშაო სივრცით ოთახით რაც ხელს უწყობს აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ წარმართვას.<br>• ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ინტეგრირებული სამეცნიერო ბაზების საერთო საძიებელი სისტემა, რომელიც ერთი მხრივ ამარტივებს ძიების პროცესს და მეორე მხრივ, უფრო ხელმისაწვდომს ხდის მრავალფეროვან წყაროებს. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნითპროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებადდა განსავითარებლად

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფას ერთობლივადახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (ცენტრალური ოფისი) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, რომლებიც მოქმედებენ ერთიანი საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისადდა ასრულებენ უშუალოდმათთვის განსაზღვრულფუნქციებს.

განურჩევლად იმისა, რომელი სკოლის მიერ განხორციელებული რომელ პროგრამაზეა საუბარი, მექანიზმი და მიდგომა უცვლელი რჩება, შესაბამისად ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიჰყვება აღნიშნულ ლოგიკას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ გამართული საქმიანობისთვის აუცილებელია უფლებამოსილებების დელეგირება, უწყვეტი და გუნდური მუშაობის პრინციპი. მან კარგად გამოკვეთა თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელობა და ჩართულობა პროგრამების შეფასების და განვითარების პროცესში, რადგან უშუალოდფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსა-ხური თანამშრომლობს ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან, შეისწავლის პროგრამის საჭიროებებს, ახდენს პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებას და სხვ. გამართული და კოორდინირებული მუშაობისთვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესაბამისად ყოველწლიურადიქმნება როგორც სამუშაო, ისე შეფასებების გეგმები, მათი შესრულება და შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში.

უნივერსიტეტში პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენ-ტებია:

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომელიც აღწერს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს, მოიცავს სისტემური კვლევების რუკას, სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს, პროგრამებთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების, უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და უნივერსიტეტის კვლევის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების რუკებს;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“, რომელიც არეგულირებს ისეთსაკითხებს, როგორიცაა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა, პროგრამის გაუქმება, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმხარეებსა და ამ პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორების ჩამონათვალი, დამაკმაყოფილებელი პროგრამის შეფასების კრიტერიუმებსა და პროგრამის განვითარებაში ჩართულმხარეებთან კომუნიკაციის პატერნს;

- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, რომელიც ადგენს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განხორციელების შეფასების გარე და შიდა მექანიზმებს. ამავე დოკუმენტითგანისაზღვრება შიდა შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტები და მეთოდები (სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა). შეფასებით მიღებული მონაცემები აისახება პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კურიკულუმის ექსპერტი.

ასევე, შემუშავებულია „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტანდარტი“, რომელშიც დასაკორექტირებელია/გასაუმჯობესებელია არსებული რამდენიმე დებისათვის შეუსაბამო ჩანაწერი, კერძოდ (მ.10, „მაგისტრის ხარისხის მინიჭება“): „10.1. არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვებისა და შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი; 10.2. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, ან/და დარგის/სპეციალობის, ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით 10.3. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა შესაბამისი მიმართულების ან დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის არსებობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში.

წარმოდგენილი დოკუმენტებსა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით აღსანიშნავია მოქმედი დოკუმენტების რელევანტურობა, საკმარისობა და იმპლემენტაციის მაღალი ხარისხი. პროგრამის სრულფასოვანი შეფასება იყო უზრუნველყოფილი შემდეგი გარემოებების ერთობლიობით

- წარმოდგენილი დოკუმენტებსა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით დასტურდება პროგრამის შემუშავება/მოდიფიცირების და შეფასების პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტების რელევანტურობა, საკმარისობა და იმპლემენტაციის მაღალი ხარისხი.

- უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელების და შეფასების პროცესები არის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით მოწესრიგებული და გამჭვირვალე. წინასწარ განსაზღვრულია შესაფასებელი ასპექტები, შეფასების მექანიზმების და ინსტრუმენტები, შეფასების პერიოდულობა და ამ პროცესში მონაწილე სუბიექტები, გადაწყვეტილების მიღების წესი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები.

- შემუშავებულია და გამოიყენება პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების სარეკომენდაციო უნიფიცირებული ფორმები, სადაც დეტალურად ახსნილი მოთხოვნები ამ დოკუმენტების თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებიდან მკაფიოდ იკვეთება: (1) პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა - შემუშავებულია ერთიანი რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობას; (2) პროგრამის შედეგების ფორმირების თავისებურებები - შემუშავებულია რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის თითოეული კომპონენტის მონაწილეობას კონკრეტული შედეგის ფორმირებაში, რაც მთლიანობაში ქმნის პროგრამის შედეგებისა და კომპონენტების ურთიერთკავშირის მკაფიო სურათს; (3) პროგრამის ათვისების დინამიკის კონტროლის შესაძლებლობა - შემუშავებულია სამიზნე ნიშნულების ცხრილი, რომელიც მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას როგორც სწავლის თითოეული შედეგის მიღწევისთვის დადგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლების, ისე ამ მაჩვენებლების მიღწევის გზების შესახებ. პროგრამის შედეგებში მონაწილე კომპონენტების, შეფასების მეთოდების და შედეგის მიღწევის პერიოდულობის მითითება ქმნის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის და სისტემატურობის საფუძველს.

პროგრამის შეფასების პროცესი იყო თანამშრომლობითი და კომპლექსური: თვითშეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. პროგრამისთვის მნიშვნელოვან/საკვანძო საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღებოდა საკითხის განხილვის შედეგად კოლეგიალურად რამაც უზრუნველყო ამ პროცესის გამჭვირვალობა და პროგრამის გუნდის მაღალი ჩართულობა. შიდა შეფასების გარდა გამოყენებულიქნა გარე შეფასება. იყო შესწავლილი დარგობრივი ორგანიზაციების მოსაზრებები და დარგი არსებული საჭიროებები, პროგრამა შეფასდა გარე შემფასებლების მიერ. შიდა შეფასებამ მოიცვა პროგრამისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა ზოგადი მოთხოვნები პროგრამისადმი, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები); პროგრამის მიზნები; პროგრამის სწავლის შედეგები; პროგრამის მოცულობა; სასწავლო დატვირთვა; შეფასების წესი; სწავლების მეთოდები; დასაქმების სფეროები; რესურსები; რესურსები; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; პროგრამის სილაბუსები). შეფასების მიზნითგამოყენებულია თითოეული შესაფასებელი ასპექტისთვის რელევანტური შეფასების კრიტერიუმები. განხორციელდა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლა-ანალიზი. თვითშეფასების პროცესში იყო იდენტიფიცირებული პროგრამაში ცვლილებების საჭიროება, რის შედეგადპროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით(მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში, რუბრიკაში „საგანმანათლებლოპროგრამის მოკლე მიმოხილვა“ - 2011 წელს აკრედიტებულისაბაკალავრო პროგრამისა და 2021 წელს განახლებული პროგრამის შედარებითი ცხრილი და სხვ.). აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის ჭრილში დადგინდა პროგრამის როგორც ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლადსაჭირო აქტივობები. აღნიშნული შემდგომ აისახა აკრედიტაციის მიზნითწარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო რჩევა: *„დაკონკრეტდეს/გაუქმდეს „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტში“ (მ.10, „მაგისტრის ხარისხის მინიჭება“, პ. 10.1, 10.2, 10.3) არსებული, დღეისათვის ძალადაკარგული, ჩანაწერები.“* უსდსგან მიღებული არგუმენტირებული პასუხიდან გამომდინარეობს, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა რჩევა, რაც, ასევე, დასტურდება არგუმენტირებული პასუხის თანდართული დოკუმენტით მიუხედავადიმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას მხედველობაში მიღებულიქნეს ვიზიტის შემდგომ შექმნილი დოკუმენტები, ვითვალისწინებთიმ გარემოებას, რომ რჩევა არ ატარებს სტანდარტთან შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელ პირობას და მისი შესრულება დაწესებულების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილადიქნა მიჩნეული ამ რჩევის გაუქმება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- „საგანმანათლებლოპროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“;
- „საგანმანათლებლოპროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
- „საგანმანათლებლოპროგრამის შეფასების კრიტერიუმები“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- „პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი“;
- პროგრამის შედეგების რუკა; სამიზნე ნიშნულების რუკა; პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის რუკა;
- სამუშაოჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების (დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების) დამოკიდებულებების კვლევა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელპერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესოპრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა უფლებამოსილებების სწორი დელეგირების, აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც დადებით გავლენას ახდენს თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა პროცესზე (შემუშავება, მოდიფიცირება, შეფასება და სხვ.).

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობა და ანალიზი**

უნივერსიტეტში გარე შეფასება წარმოადგენს პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. პროგრამის გარე შეფასებას ემსახურებოდა პოტენციური დამსაქმებლების შერჩევა (ფოკუს ჯგუფის ფორმირება) და მათი მოსაზრებების შესწავლა (კვლევა). კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტს საშუალება ჰქონდა წინასწარ გაცნობოდა სამაგისტრო პროგრამას, კურსების კატალოგს და გამოეთქვა მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილე რესპოდენტებმა პროგრამა დადებითად შეაფასეს პროგრამა და აღნიშნეს, რომ პროგრამით გათვალისწინებული კურსები საკმაოდ მრავალფეროვანია და შეესაბამება სპეციალობას. მათ გამოთქვეს მოსაზრება პრაქტიკული კომპონენტის მოცულობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ. კვლევისას მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და გამოყენებული იქნა პროგრამის საბოლოო ვერსიის შექმნისთვის, რაზეც ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელმა. ასევე, ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა ისაუბრეს ჩართულობაზე პროგრამის გარე შეფასების პროცესში, დადებითად შეაფასეს პროგრამა და აღნიშნეს მისი აქტუალობა და მნიშვნელობა.

გარე შეფასების ერთ-ერთ ფორმად უნივერსიტეტში მიიჩნევა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმიდან (#09, 02/08/2012) ირკვევა, რომ აკრედიტაციის ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები. ამავდროულად ამავე ოქმის თანახმად სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად აკრედიტაციის საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სანდარტების დაკმაყოფილებულია და მიიღო გადაწყვეტილება (#296, 02/08/2012) „სოციალური მეცნიერებების (პოლიტიკის მეცნიერებები, სოციოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებულია, კერძოდ პროგრამას ჰყავს ორი აკადემიური ხელმძღვანელი და 2 საკონტაქტო პირი (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და კოორდინატორი); დაკორექტირდა პროგრამის სწავლის შედეგები; შესწავლილი იქნა შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა საჭიროებები; გაიმიჯნა სწავლების მეთოდი და ფორმატი; შემუშავდა სილაბუსის ერთიანი ფორმა და სხვ., რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამით და დოკუმენტებით

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის შეფასება (დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში);
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის პერიოდული შეფასება - კომპლექსური, თანმიმდევრული, გამჭვირვალე და სისტემატური პროცესია. ამ პროცესის მარეგულირებელდოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ასპექტები, მექანიზმები და ინსტრუმენტები, ამ პროცესის პერიოდულობა და ანგარიშვალდებულებების სისტემა, ასევე შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუქცია და ფორმა.

სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით განსაზღვრული პერიოდულობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), სერვისების, რესურსების და სხვ. შეფასება, რაც იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვების, განვითარების ტენდენციების და ამ პროცესების განხორციელებაში/უზრუნველყოფაში ჩართული სამსახურების მიერ გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების დაგეგმვის შესაძლებლობას. საანგარიშოპერიოდი მოიცავს ერთსასწავლო წელს (მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის) და მომდევნო სემესტრს (ანგარიშის წარდგენისა და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს პროგრამისა და მისი განხორციელების სისტემურ (გეგმიურ) შეფასებაზე და აღნიშნეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გეგმიური კვლევების გარდა, ასევე, ტარდება არაგეგმიური კვლევები. მაგ., ერთერთი არაგეგმიური კვლევის საგანი გახდა შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე სასწავლო კურსის სხვადასხვა განმახორციელებელთა სასწავლო ჯგუფში დაფიქსირდა მნიშვნელოვნად განსხვავებული აკადემიური მოსწრება. მიზეზის დადგენისათვის განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასწრება ლექსია-სემინარებზე და დამატებითი კვლევა, რომლის შედეგები განხილულიქნა სასწავლო კურსის განმახორციელებლების ჩართულობით პროგრამის შეფასების შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში, რომლებიც შემუშავდება პროგრამების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია უკუკავშირი და შეფასების შედეგების გაცნობა, რაც პროგრამის ხელმძღვანელს აძლევს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებაში მოიაზრება როგორც მიკრო დონეზე შეფასება (პროგრამის კომპონენტების დონეზე სემესტრული შეფასება, ამ პროცესში პრიორიტეტულია უშუალოდ განმახორციელებლის მიერ შეფასების ინდიკატორების გამოყენება, ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება, კომპეტენციის ფარგლებში - ცვლილებების შეტანა/ინიცირება და სხვ.), ისე მაკრო დონეზე შეფასება (მთლიანობაში პროგრამის და მისი დაძლევის შეფასება, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამის შეფასება. პროგრამის მთლიანი ციკლის შეფასების პერიოდია 5 წელი. ამ ვადაში პროგრამის ხელმძღვანელები განსაზღვრავენ რომელშედეგს და რა პერიოდულობით შეაფასებენ ამა თუ იმ შედეგს). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით პროგრამის შეფასებიის პროცესისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ათვისების (შედეგების მიღწევის) დადგენა-შეფასება, ამ მიზნითაც ხდება აკადემიური მოსწრებაზე დაკვირვება და პროგრამის შედეგებისთვის დადგენილ ნიშნულებთან მიღებული შედეგების შედარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით შესწავლის შედეგად დადგენილ სამიზნე ნიშნულებსა და მიღწეულ შედეგებს შორის სხვაობა (მეტობა/ნაკლებობა) წარმოადგენს დამატებითი შესწავლის, მიზეზის დადგენისა და გარკვეული ღონისძიებების (მაგ., პროგრამაში ცვლილებები, მომდევნო პერიოდისთვის კორექტირებული სამიზნე ნიშნულების დადგენა და სხვ.) დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით პროგრამის შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა, მათშორის:

- სტუდენტთა დამოკიდებულებების შესწავლა (ჩატარებული კვლევა) მრავალკომპონენტია, შესასწავლი ასპექტები შეესაბამება კვლევის მიზანს - 2018-2019 წლებში ჩატარებული კვლევა, ითვალისწინებს სხვადასხვა

აქტუალურ საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტთა 64% გეგმავს სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე, რესპონდენტთა 80% თვლის, რომ ბაკალავრიატში სწავლის დასრულება დაეხმარება მათ კარიერულ ზრდაში, 58% თვლის, რომ ბაკალავრიატის დასრულება მათ დაეხმარება პროფესიით დასაქმებაში, გამოკითხულთა 67% თვლის, რომ სასწავლო კურსები შეესაბამება მათ პროფესიულ ინტერესებს, რესპონდენტთა 87% მიიჩნევს, რომ ჰქონდათ შესაძლებლობა აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში, 77% ადასტურებს სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას, 89% კი ადასტურებს საჭიროების შემთხვევაში ლექტორთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა და სხვ. საგულისხმოა, რომ ძლიერ მხარედ რესპონდენტთა 26% ლექტორების კვალიფიკაციას ასახელებდა, 5% - თავად პროგრამას თვლის ძლიერ მხარედ 4%-მა კი ისაუბრა თავისუფალ გარემოზე და კურსებზე. პროგრამის სუსტ მხარედ რესპონდენტთა 23% პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობას ასახელებდა, 10%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, 5%-მა კი კურსების ნაკლები მრავალფეროვნება დაასახელა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ჩატარებული კვლევა ითვალისწინებდა დღეისათვის აქტუალური, ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული ასპექტების შესწავლას და დეტალურ ანალიზს. ასევე, აღსანიშნავია კვლევაში სტუდენტთა მაღალი ჩართულობა (2018-2019 წელს - 67%, 2020 წელს - 87%). ინტერვიუში მონაწილე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი აზრის/დამოკიდებულებების შესწავლა მიმდინარეობს სისტემატურად სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მეშვეობით სადაც იტვირთება გამოკითხვის ანკეტები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ასპექტებს (მაგ., სასწავლო პროცესის შეფასება, სასწავლო კურსის განმახორციელებლების შეფასება და სხვ.). ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა კომენტარის სახით დამატებით დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და რჩევები, აქვთ უკუკავშირი და მათ მოსაზრებებს ითვალისწინებენ.

- ○ უნივერსიტეტს შემუშავებული და წარდგენილი აქვს ინსტრუქცია „კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მექანიზმი“ და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან 1-1.5 წლის შემდეგ, რათა კურსდამთავრებულებს შეეძლოთ დასაქმებულის პერსპექტივიდან შეაფასონ რამდენად მორგებულია პროგრამა კურსდამთავრებულთა რეალურ საჭიროებებზე. წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა კვლევის (2019,2020) თანახმად გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პროგრამის კურსდამთავრებულთა უმეტესობამ, მათშორის თითქმის ნახევარი სპეციალობით დასაქმებულია. კვლევების შედეგად იკვეთება, რომ რესპონდენტთა ნაწილი აგრძელებს სწავლას შემდეგ საფეხურზე ნაწილი კი აპირებს სწავლის გაგრძელებას. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი თვლის, რომ მიღებული ცოდნა ძალიან გამოადგა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ცოდნა მეტნაკლებად გამოადგა კარიერულ განვითარებაში. კურსდამთავრებულთა აზრით პროგრამის ძლიერი მხარეებია - კვალიფიციური ლექტორები, პროგრამის პრაქტიკული ნაწილი, თეორიული სწავლება, ცოდნის შეძენა, უნარ-ჩვევების განვითარება, ზოგადი განათლება ა.შ., პროგრამის სუსტ მხარეებად კი ძირითადად ასახელებენ პრაქტიკისა და სტაჟირების ნაკლებობას, ასევე რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, გადახედვას საჭიროებს პროგრამაზე არსებული კურსები. ინტერვიუში მონაწილე კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს როგორც სწავლის პერიოდში გამოკითხვების ფაქტი, ისე მათი, როგორც კურსდამთავრებულის, გამოკითხვა, კურსდამთავრებულებმა განმარტეს, რომ გამოკითხვა ეხებოდა პროგრამით სწავლის კმაყოფილებას, განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილს და სწავლის დასრულების შემდგომ პერიოდში მიღებული განათლების აქტუალობას და გამოყენების შესაძლებლობას. ინტერვიუში მონაწილე კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს პროგრამაზე, მიღებული განათლების აქტუალობაზე და გამოყენების შესაძლებლობაზე.

- 2021 წელს განხორციელდა დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა - კვლევაში მონაწილეობდა 8 რესპონდენტი (სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის, სხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლები), რომლებმაც წინასწარ გაეცნენ ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას და გამოთქვეს მოსაზრებები პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურის და პროგრამისთვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ჩატარებული კვლევის ანგარიში მოიცავს შემდეგი საკითხების დეტალურ ანალიზს: უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დაკავშირებული გამოცდილებები, დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევები, პროგრამის შეფასება, დამსაქმებელთა მხრიდან დასახელებული რეკომენდაციები. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა ისაუბრეს პროგრამის აქტუალობაზე და პროგრამისთვის პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნე-

ლობაზე. მათ აღნიშნეს, რომ მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში (ფოკუს ჯგუფი), მათ ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები, რაც იყო გათვალისწინებული პროგრამაში.

პროგრამის განვითარების პროცესში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების თაობაზე ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენ-ლებმა. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამის და მისი კომპონენტების განვითარება - მუდმივი პროცესია, მათ მიერ იყო გამოყენებული საკუთარი საერთაშორისო გამოცდილება, შეისწავლეს უცხოეთის პარტნიორი უსდების მიდგომები და საერთაშორისო ანალოგები, რაც, ასევე, გამოყენებულ იქნა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას (თვითშეფასების ანგარიშის თანახმად ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას/განახლებისას გამოიყენა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები და დარგობრივი მახასიათებლები.

ინტერვიუში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ პროგრამისთვის მნიშვნელოვანია თითოეული კომპონენტის დონეზე განვითარება. ამ მიზნით შეისწავლიან როგორც მთლიანად პროგრამის, ისე პროგრამის თითოეული კომპონენტთან დაკავშირებულ გამოცდილებას. შესწავლის საგანს წარმოადგენს როგორც შინაარსობრივი ასპექტები, ისე სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, გამოყენებული ლიტერატურა და სხვ. პროგრამის განმახორციე-ლებლება დეტალურად ისაუბრეს სასწავლო კურსების შემუშავების პროცესზე და განხორციელებულ ცვლილებებზე, გაზიარებულ გამოცდილებაზე და მიდგომებზე. ასევე, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა დეტალურად ისაუბრა დარგში არსებულ ტენდენციებზე და საჭიროებებზე, პროგრამის და მისი კომპონენტების განვითარების შესაძლებლობებზე და პერსპექტივებზე. პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარების პროცესი - თანამშრომლობითი პროცესია, რომლის ფარგლებში განიხილება პროგრამის შეფასების შედეგები, პროგრამის განხორციელების პროცესში იდენტიფიცირებული საჭიროებები, საერთაშორისო გამოცდილება, შედეგად კი იგეგმება ცვლილებები და მიიღება გადაწყვეტილება.

აქვე აღვნიშნავთ რომ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო რეკომენდაცია, რომელიც გადამუშავდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის მიღების შემდეგ. კერძოდ **რეკომენდაცია** შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: *„თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგები იყოს ფორმალიზებული და ისე იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი გახდეს იმის დადგენა, რა და რატომ იყო ან არ იყო გათვალისწინებული პროგრამის მიზნებისათვის (სტრუქტურა, პროგრამის კომპონენტები, მათ განხორციელების თავისებურებები და/ან სხვ.), როგორი გავლენა მოახდინა შედარების შედეგებმა პროგრამის განვითარებაზე და ა.შ.".*

მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის ზეპირი განმარტება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მხოლოდ ამაზე დაყრდნობით იყოს შესაძლებელი როგორც მთლიანად პროგრამის, ასე პროგრამის კომპონენტების დონეზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების შედეგების გაანალიზება (მაგ., რა იყო გაზიარებული – სტრუქტურა, პროგრამის კომპონენტები, მათ განხორციელების თავისებურებები, როგორი გავლენა მოახდინა შედარების შედეგემბა პროგრამის განვითარებაზე და სხვ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის პოზიცია გაზიარებული არ არის, ხოლო რეკომენდაცია, შინაარსობრივი ცვლილების გარეშე, ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით (იხ. ქვემოთ შესაბამისი სექცია).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია";
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი";
- „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები";
- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება";
- პროგრამისთკმაყოფილების კვლევა (2020); 2020 წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება (2021);
- კვლევების ჩატარების ინსტრუქციები, მათ შორის „დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი"; „კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მექანიზმი"; „პროგრამით კმაყოფილების კვლევა" და სხვ.;
- გამოკითხვის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვ. გამოკითხვის ფორმები/კითხვარი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:<br><br>• უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ისეთი ფორმით ჩამოყალიბებული, რომელიც იძლევა საუნივერსიტეტო გამოცდილების გამოყენების ანალიზის შესაძლებლობას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაში მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**
**ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგიის, განათლების ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიის) სამაგისტრო პროგრამა**

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40**

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ლალი ხეჩუაშვილი



<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ცისანა ხუნდაძე



ნათია ბადრიშვილი



თამარგვიანიშვილი



თეკლე ჩხეიძე

